ხელშეკრულება N19

ხარაგაული **14 ნოემბერი 2022 წელი**

ერთის მხრივ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი, (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ეკა შავიძის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „ფავორიტი სტილი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ივანე თევდორაშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის გათვალისწინებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ორი – შემსყიდველს.

„ხელშეკრულების ღირებულება“ – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.
„დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
„შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

„მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულების ფარგლებში.

„მომსახურება,“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 საინფორმაციო ბროშურის ბეჭდვა (ფასი დღგ-თი, ა4 ზომა, 32 გვერდი ყდიანად, ყდა 250 მგ, ცარცი +ლამინირაცია, შიდა 130 გრამიანი ცარცი, ბეჭდვა 4+4, აკინძვა სკრეპზე 1500 ცალი. CPV (79823000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 3950 (სამიათას ცხრაას ორმოცდაათი ლარი) ლარს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო
4.2ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების მიღებაჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

5.მიღება-ჩაბარების წესი

5.1შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება

შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5.2მომსახურების მიწოდება ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2022 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

ბ) შესყიდვის ობიექტის მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ბ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

ბ)მოემსახუროს სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.2. და 6.3 პუნქტებში.

გ) უზრუნველყოს მომსახურეობის ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად ტექნიკური პარამეტრების დადგენილი პრინციპების დაცვით.

7 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაცის ხელმძღვანელი.

7.2ინსპექტირება გულისხმობს შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის შესრულებულ სამუშაოს და გაწეული მომსახხურეობის ხარისხის კონტროლს.

7.3ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსრულებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02 %-ის ოდენობით.

8.2იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს

ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებულია, თუ ამ ცვლილებების

შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.2ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.3ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.4ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. **დაუძლეველი ძალა**

10.1მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვადებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10.დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთებიშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისშესაბამისად.

11.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 იანვრამდე.

შემსყიდველი:	მომწოდებელი:
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის	შპს ,,ფავორიტი სტილი“
	დირექტორი: ივანე თევდორაშვილი
ა(ა) იპ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და	

FAVORITE STYLE LLC

Digitally signed by FAVORITE STYLE LLC
Date: 2022.11.14 17:50:18 +04'00'

ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“ N20 მის: ხარაგაული 9 აპრილის N15
ს/კ 443567114

მის: თბილისი ჩუბინაშვილის N50
ს/კ 40437979294

სახაზინო კოდი 05-03

ა/ნ : GE68TB7229036020100001